”პასიური“ საგარეო პოლიტიკიდან აქტიურ ინტერნაციონალიზმამდე: დანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ტრანსფორმაცია ცივი ომის დასრულების შემდგომ

ინგა ორმოცაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს კვლევას დანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ ცივი ომის დასრულების შემდგომ, კერძოდ კი გაანალიზებულია ქვეყნის 1989-2004 წლების პოლიტიკა. ნაშრომის მიზანია იმის შესწავლა, თუ ***რა მიზეზებმა განაპირობეს ცივი ომის დასრულების შემდეგ დანიის საგარეო და უსაფრთხოების ნეიტროცენტრისტული პოლიტიკის ტრანსფორმაცია და მისთვის უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში დამახასიათებელი დეტერმინიზმის, რაც ქვეყნის პასიურ საგარეო პოლიტიკას განაპირობებდა, აქტიური ინტერნაციონალიზმით ჩანაცვლება.*** ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ნეიტროცენტრიზმსა და მისთვის დამახასიათებელ დეტერმინიზმსა და ინტერნაციონალიზმზე, რომელმაც განაპირობა დანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კომპლექსური ხასიათი. ჰიპოთეზა, რომლის დამტკიცებასაც ნაშრომი შეეცდება და რომელიც გაშლილი სახით შესავალში წარმოჩინდება, ფორმულირდება შემდეგნაირად: ***დანიის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციის დროს არ მომხდარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების შეცვლა, მოხდა ამ მიზნების მისაღწევად ხელისუფლების მხრიდან მეტი ძალისხმევის გამოყენება, რამაც ქვეყანა პასიურიდან აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადაიყვანა.***

კვლევა ძირითადად საკითხზე მომუშავე სკანდინავიელი მკვლევარების ნაშრომებს ეფუძნება, ამიტომაც იგი ჩატარებული იქნება მეორადი წყაროების გაცნობისა და ანალიზის საფუძველზე, მაგრამ რადგანაც ის ასევე ეყრდნობა დანიის ოფიციალური წარმომადგენლების მოხსენებებს, დოკუმენტებს და ინტერვიუებს, ასევე გამოყენებული იქნება მეთოდოლოგიის ე. წ. „Discourse Historical Approach“.

აღნიშნული ნაშრომი მიღებული შედეგით სამიზნე ჯგუფს შესთავაზებს პატარა, მაგრამ ინფორმაციულად მდიდარ და კომპლექსურ კვლევას, რომელიც შესაძლოა, გამოყენებულ იქნას, როგორც მომავალ აკადემიურ კვლევებზე, ასევე ანალიტიკურ რეკომენდაციებზე მუშაობის დროს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნეიტროცენტრიზმი, დეტერმინიზმი, ინტერნაციონალიზმი.

Abstract

The work presents the research pertaining the foreign and security policy of Denmark after the end of Cold War, more precisely it's transformation between 1989-2004 years. The aim of this work is to study the reasons which stipulated the transformation of a long-standing neutrocentrist foreign and security policies of Denmark and the superseding of the determinism, typical to Denmark, stipulating its passive foreign policy, with active internationalism. The answer on this question is being quite complex and requires entrenched historical analysis of the Danish foreign and security policy. The work draws attention on neutrocentrism and the determinism typical to it and internationalism, which were instrumental in shaping the complexity of Denmark`s foreign and security policy. The hypothesis of the study is formulated as follows: the transformation process of Denmark's foreign and security policy has not occurred with the changes of foreign policy aims and objectives. In order to fulfil these objectives, government has only changed an effort that led to the country from passive to active foreign policy.

Small state theory will be used as the theoretical framework for the study, according to which the foreign policy of the states and the diapason of their actions in the international system is determined by the circumstances how the state perceives its actual capabilities.

The current work is a case study, since it aims to analyze the foreign and security policy change of particular country in certain time period. It would be designed as a Historical research. The study is primarily based on Scandinavian researchers`works therefore it shall be conducted by secondary material analysis, however, as long as it relies on the reports, documents and interviews of Danish officials the Discourse Historical Approach methodology shall hence be applied.

Key words: *Neutrocentrism, Determinism, Internationalism*

სარჩევი

შესავალი 4

1. ლიტერატურის მიმოხილვა 8

2. მეთოდოლოგია 11

3. პატარა სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში 13

4. იმპერიული ამბიციებიდან ნეიტრალიტეტამდე 19

4.1.*1864-ის სინდრომი* 22

4.2.ნეიტრალიტეტი დუალისტური მახასიათებლებით 25

5. საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაცია 30

5.1. დანიური ინტერნაციონალიზმი 39

5.2. დანიური ინტერნაციონალიზმი ბალტიის ქვეყნებთან მიმართებაში 40

5.3. დანიური ინტერნაციონალიზმი კონფლიქტის პრევენციასთან მიმართებაში 45

5.4. დანიური ინტერნაციონალიზმი ატლანტიზმთან მიმართებაში 49

დასკვნა 52

ბიბლიოგრაფია 55